პროექტი: ჩემი ელექტრონული წიგნი

პროექტის მიზანი: მოსწავლეები საპრეზენტაციო პროგრამის გამოყენებით შექმნიან ელექტრონულ წიგნს.

წინარე ცოდნა: მოსწავლეებმა იციან ტექსტურ რედაქტორსა და საპრეზენტაციო პროგრამაში მუშაობა, ინტერნეტში ინფორმაციის მოძიება, სურათისა და ტექსტის გადმოწერა.

პროექტის ხანგრძლივობა: 2 კვირა.

პროექტის მსვლელობა:

პირველი კვირა

მოსწავლეები გადაანაწილეთ ჯგუფებში (ჯგუფში 4 მოსწავლე) და გააცანით ჯგუფში მუშაობის წესები. ჯგუფები ირჩევენ მათთვის საინტერესო თემას, რაზეც ისინი შექმნიან ელექტრონულ წიგნს.

ჯგუფებს მიეცით დავალება, რომ მოიძიონ შერჩეულ თემაზე ინფორმაცია, რომლის გამოყენებაც დაეხმარებათ ელექტრონული წიგნის შექმნაში.

აქტივობა 1

გაკვეთილზე ჯგუფები განიხილავენ ელექტრონული წიგნის იდეას და ფურცლებზე ქმნიან ელექტრონული წიგნის თითოეული გვერდის მონახაზს/ესკიზს.

დააკვირდით ჯგუფების მუშაობას, დაუსვით მიმართულების მიმცემი კითხვები.

აქტივობა 2

ჯგუფის ერთი წევრი კლასს აცნობს (ძალიან მოკლედ, 2-3 წუთი) მათ მიერ მოფიქრებულ იდეას: რა არის მათი მიზანი, რა ტიპის წიგნის შექმნას აპირებენ, რამდენი გვერდი იქნება, რა სახის ინფორმაცია იქნება თითოეულ გვერდზე.

აქტივობა 3

მოსწავლეები ფურცლებზე შექმნილი ესკიზების მიხედვით **PowerPoint**-ში იწყებენ ელექტრონული წიგნის შექმნას.

იმუშავეთ ყველა ჯგუფთან, დაეხმარეთ სამუშაოს განხორციელებაში.

მეორე კვირა

აქტივობა 4

ჯგუფები დამოუკიდებლად, არაფორმალურ გარემოში, აგრძელებენ ელექტრონულ წიგნზე მუშაობას.

აქტივობა 5

ჯგუფები აუდიტორიის წინაშე წარადგენენ შექმნილ ელექტრონულ წიგნებს.

შეფასების საგანი და პროცედურები:

ელექტრონული წიგნის პრეზენტაციის შეფასებისას ყურადღება მიაქციეთ პრეზენტაციის შინაარსს, ელექტრონული წიგნის სტრუქტურას, ვიზუალურ მხარესა და პრეზენტაციის უნარებს.

შეფასების ტიპი – განმსაზღვრელი.

შეფასების საშუალება – ელექტრონული წიგნის შეფასების რუბრიკა.

ელექტრონული წიგნის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა
შინაარსის მიზანთან შესაბამისობა	ელექტრონული წიგნის შინაარსი არ შეესაბამება ელექტრონული წიგნის მიზნებს.	ელექტრონული წიგნის შინაარსი ნაწილობრივ შეესაბამება ელექტრონული წიგნის მიზნებს.	ელექტრონული წიგნის შინაარსი უმეტესად შეესაბამება ელექტრონული წიგნის მიზნებს.	ელექტრონული წიგნის შინაარსი სრულად შეესაბამება ელექტრონული წიგნის მიზნებს.
სტრუქტურა/ ორგანიზება	ელექტრონული წიგნის სტრუქტურა არაორგანიზებულია, სლაიდები არ არის ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული.	ელექტრონული წიგნის სტრუქტურა ნაწილობრივ ორგანიზებულია, სლაიდები მეტ-ნაკლებად ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული.	ელექტრონული წიგნის სტრუქტურა უმეტესად ორგანიზებულია, სლაიდები ერთმანეთთან უმეტესად ლოგიკურადაა დაკავშირებული.	ელექტრონული წიგნის სტრუქტურა სრულად ორგანიზებულია, სლაიდები ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული.
გრაფიკული გამოსახულება და დიზაინი	გრაფიკული გამოსახულებები და დიზაინი არ შეესაბამება ელექტრონული წიგნის თემას.	გრაფიკული გამოსახულებები და დიზაინი ნაწილობრივ შეესაბამება ელექტრონული წიგნის თემას.	გრაფიკული გამოსახულებები და დიზაინი უმეტესად შეესაბამება ელექტრონული წიგნის თემას.	გრაფიკული გამოსახულებები და დიზაინი გამორჩეულად კარგია და სრულად შეესაბამება ელექტრონული წიგნის თემას.
პრეზენტაციის უნარ-ჩვევები	ჯგუფის ვერც ერთი წევრი ვერ წარმართავს ეფექტურ პრეზენტაციას.	ჯგუფის ყოველი წევრი ნაწილობრივ კარგად და ეფექტურად წარმართავს პრეზენტაციას.	ჯგუფის ყოველი წევრი უმეტესად კარგად და ეფექტურად წარმართავს პრეზენტაციას.	ჯგუფის ყოველი წევრი ძალიან კარგად და ეფექტურად წარმართავს პრეზენტაციას.